ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№21 (6396) 19 თებერვალი სამშაბათი ფასი 5 კაპიკი

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად დაადგინა ერთ ოლქში დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატთა წარდგენისათვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით:

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა ნაკლებია 200-ზე, საკმარისია ამ ოლქის 5 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაა 201-დან 1000-მდე, საკმარისია ამ ოლქის 20 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაა 1001-დან 4000-მდე, საკმარისია ამ ოლქის 40 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა 4000-ზე მეტია, საკმარისია ამ ოლქის 100 ამომრჩევლის ხელმოწერა.

ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენა შეიძლება ტერიტორიულ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში.

გულისთქმა

უჭირს მტრიან საქართველოს

ძველთაგან უჭირდა საქართველოს, გარეშე მტერთან დაღლილ-დაქანცულს, შინაური აშლილობა ასუსტებდა.

ჰოდა დღესაც უჭირს ჩვენს მტრიან საქართველოს, უჭირს ისე, როგორც არასოდეს. სამარცხვინო, ჩვენი ძირძველი მიწა იმდენად დიდი სატკივარია ჩვენი, რომ სხვა რამეზე ფიქრი ზედმეტად მიმაჩნია.

სხვის სანახველაზე ორი ბელურას ბრძოლის ქართულ ანდაზას მაგონებს ამ ქართულ მიწაზე ხიზნებად მოსული ოსების საშუალებით ცენტრის მიერ დანთებული ცეცხლი, ეს ორი მოკავშირე აგერ უკვე რამდენი ხანია უმოწყალოდ წვავენ ქართველთა სახლ-კარს, სკოლებს, იღვრება უდანაშაულო ქართველთა სისხლი, დღითიდღე მატულობს გზაზე დამდგარ ქართველ ლტოლვილთა რიცხვი.

გაჭირვებაში ჩავარდნილი ოსები გულღიად, კეთილად მივიღეთ, მერე ისე გავათამამეთ, საკუთარი სახლიდან გვაგდებენ. აი, ჩვენი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობისა და ყბადაღებული ინტერნაციონალიზმის შედეგი.

ვკითხულობ პრესას, ვისმენ ტელეგადაცემებს, თავიდან ბოლომდე გადავიკითხე ახლახან გამოცემული საქართველოს ისტორია და ისედაც რწმენაშერყეული გაოცებული ვარ ჩვენი „უფროსი ძმების“ ოსებისადმი უსამართლო მხარდაჭერით. სხვა მრავალნაირ შევიწროებასთან ერთად მოსკოვის საინფორმაციო საშუალებები ყოველდღე გვიშხამავენ სულს და ჩვენს ნერვებზე თამაშობენ. მოღრუბლულ ცაზე მზის გამონათებას ვადარებ თუ ერთი-ორი რუსი მაინც გაბედავს და ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობაზე სიმართლეს იტყვის ასე მოიქცა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატი სოროკინი.

რა დავაშავეთ ასეთი. საინტერესოა, რატომ არ აფიქრებთ ის, რომ ქვეყანა დიდია და ყველა ხედავს რაც ხდება საქართველოში.

მადლობა ღმერთს, რომ ქართველ კაცს ფერხმალის დაყრა არ სჩვევია და იმის იმედი ნურავის ექნება, რომ გულხელდაკრეფილი დაველოდოთ მომავალს, სიმართლე ჩვენს მხარეზეა და ბოლოსდაბოლოს მწამს, რომ გავიმარჯვებთ.

ს. მეგრელი,

რაიკოოპერატივის თანამშრომელი.

ხალხის ბედი ღირსეულს უნდა ჩაბარდეს

„ღმერთმა ადიდოს, ახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელ საქართველოს“—ბრძანებდა დიდი ილია.

ჩვენც ასეთი შვილები გვჭირდება დღეს. ისინი ხალხში არიან, ზოგჯერ წყნარად, უპრეტენზიოდ, თავგამოდებით რომ არ ხასიათდებიან, მაგრამ მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან. მათ პოვნა და ნდობის გამოცხადება სჭირდებათ.

ასეთი ჟამიც დამდგარა... რამდენიმე დღე და რჩეული თავკაცები გზას გაგვიკვლევენ, წინ გაგვიძღვებიან ამ რთულ გარემოში და მხოლოდ ფრთიანი სიტყვებით კი არ გამოგვკვებავენ, არამედ საქმეს გვიჩვენებენ. დიახ, საქმეს, მართალი სიტყვა და საქმე ასე ძლიერ რომ სჭირდება მშრომელი კაცის გულსაც და ინტელიგენტსაც, როგორც პური არსობისა, რათა აღსდგეს ნდობა და პატივი. იქნებ „დამკვიდრდეს“ უფრო სწორი იყოს, ვიდრე „აღსდგეს“, რადგან იშვიათად იყვნენ პიროვნებები, რომლებიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში თავიანთი უმწიკვლო ყოფითა და მოქმედებით. თუმცა არც იმის უგულებელყოფა შეიძლება—არ იყვნენო. ასეთთა სახელებს ხშირად იმეორებს მასა.

ძნელია რწმენადაკარგულ ადამიანებთან მუშაობა და არსებობა, ძნელია იმ დაპირისპირებათა გადალახვა, რომელიც პარტიებს შორის სუფევს. დასანანია, უგვანოთა ჩრდილი რომ პატიოსნებს შეჰფარვია და სამზეოზე გამოსვლისათვის უშლის ხელს. ამიტომაა საჭირო დიდი სიფრთხილე ამ ეტაპზე როგორც პრეფექტების, ისე საკრებულოს წევრთა შერჩევის დროს. ამჯერად მაინც აღარ უნდა გადაიდგას მცდარი ნაბიჯები.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ხალხის აზრს გამოვხატავ, ჩემს ირგვლივ რომ ხშირად გაისმის. „ერთ კაცის ნდობა ძნელია, გინდა გადიქცეს გონებად“—ასე გვეუბნებოდა ჩვენი სულმნათი მამულიშვილი. ეს პრინციპი რეალურად შეისხამს ხორცს წინამდებარე არჩევნებში.

ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ გამოირიცხება პიროვნების ვინმეს სურვილით წარდგინება, „ძმაბიჭობა“, პირადი ამბიციები და ღირსეულს ჩაბარდება მათი ბედი. ჰკვიანს, გონიერს, მტკიცე პროფესიონალს, სპეტაკს თავისი ცხოვრებით გახსნილი უნდა ჰქონდეს გზა წინსვლელობისათვის.

ნ. ფრუიძე.

ადამიანები ჩვენს გვერდით

ახლა, როცა ყოველნაირად მძიმე და დაძაბული დრო უდგას ჩვენს რესპუბლიკას, რაც შეიძლება გონიერება და თავდადება გვმართებს, რომ ყველამ ერთიანი ძალით შევუტიოთ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ერის ურთულეს პრობლემებს და ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა რაც შეიძლება მალე გავიუმჯობესოთ.

ამიტომ აუცილებელია გაგებით მოვეკიდოთ ჩვენზე მინდობილ საქმეს, უპირველეს ყოვლისა ერთგულება გვამოძრავებდეს მარტო იმ საქმის მიმართ კი არა, რასაც ვემსახურებით, არამედ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე ჯანსაღი პროცესების მიმართაც.

რომან ჩხეტიანს, ლაჯანის კოლმეურნეობის მექანიზატორს კარგად აქვს შეგნებული, რომ მიწის ღალატი ერის ღალატის ტოლფასია, მიწა მისთვის მარტო მარჩენალი კი არა, მაცოცხლებელიცაა. რა უნდა გაუჭირდეს, მის მასაზრდოებელს გაუორგულდეს, მის გავერანებას შეეგუოს.

სწორედ ამიტომ ირჩია ახალგაზრდა კაცმა ტრაქტორისტობა და 4—5 წელია, რაც მიწასთან ჭიდილში ატარებს გაზაფხულს, ხვნა-თესვის ამ დაძაბულ პერიოდს. რომან ჩხეტიანს იმედის თვალით უყურებენ სოფელში.

გასულ წელს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მოწოდებამ ბევრი საზრუნავ-საფიქრალი გაუჩინა სოფლის მშრომელებს, დიდი ხაქმე დაეკისრათ მექანიზატორებს, რომლებსაც შეუძლებელი უნდა გაეკეთებინათ, რომ მიწა დაუმუშავებელი არ დარჩენილიყო.

იმარჯვეს კიდეც აქაურმა ტრაქტორისტებმა, 60—70 ჰექტარი საერთო სახნავ-სათესიდან მეტი წილი რომან ჩხეტიანის დამუშავებული იყო.

ახლა მექანიზატორი საგაზაფხულო სამზადისშია. იცის ისე მოიპარება გაზაფხული, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებს. ამიტომ პირველ რიგში ტრაქტორი მოიყვანა წესრიგში, თვითონ, თავისივე ძალებით ჩაუტარა მიმდინარე რემონტი და საგაზაფხულოდ გაამზადა. ასეა, კაცი, რომელიც სხვაზე დამოკიდებული არაა ყოველთვის წინაა, ახლა სოფელში სანარდო იჯარის დანერგვაზეა ლაპარაკი, შრომის ამ ახლებურ ფორმაზე გადასვლის გამოცდილება აქვთ ჩვენს მშრომელებს. რომან ჩხეტიანიც გამოცდილია ამ საქმეში, მისთვის ახალი არაფერია და მზადაა დაუზარებელი სამსახური გაუწიოს სოფლის მშრომელებს, თანასოფლელებსაც გამოადგეს და თავის ოჯახსაც. მიწათმოქმედთა გვერდით დადგეს და ერთგულად აკეთოს თავისი საქმე.

არის სოფელში ახალგაზრდა კაცი, ორი შვილის მამა, მოწინავე მექანიზატორი რომან ჩხეტიანი, რომელიც მიწასთან ჭიდილში იმკის ალალი გარჯის ნაყოფს.

ნ. მახაროგლიძე.

არის სოფელში და...

სიკეთე გადაგვარჩენს

ქართველი კაცის გულმოწყალება და სიკეთე ოდითგან ცნობილია, სწორედ ახლა გვიდგას ის დრო, როცა სიკეთემ უნდა გადაგვარჩინოს, მოგვცეს ძალა და ძლიერება, რომ შინაურ თუ გარეშე მტერს ერთიანი ძალით შევებრძოლოთ. ამ მიზნით მიდიან რაისაავადმყოფოში აქტიური დონორები, ეწყობა დონორის დღე, რათა ვაჩუქოთ ერთმანეთს სიცოცხლე, სიკვდილს გადავარჩინოთ ჩვენი მოძმე და მოყეთე.

მოძმის დასახმარებლად ამას წინათ სისხლი გაიღეს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა ჯონი ხალიანმა, საგზაო სამმართველოს თანამშრომელმა გია გასვიანმა.

რაისაავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ასევე სისხლი გაიღეს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ახალგაზრდა სპეციალისტმა ჯიუ მურცხვალაძემ, რკინაბეტონის პოლიგონის ინჟინერმა მერაბ ხეცურიანმა და სხვებმა.

მისაბაძია ზემოთჩამოთვლილთა დიდსულოვნება და უშურველად გაღებული ადამიანური სიკეთე.

გ. ნემსაძე.

წერილი რედაქციას

ᲐᲔ ᲒᲐᲜᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘᲡ

დღევანდელ რთულ სიტუაციაში, როცა ჩვენს ერს ძალზე უჭირს ძნელია პირადულზე ილაპარაკო, ბევრი ვიფიქრე ამაზე, მაგრამ გაჭირვებამ იქამდე მიმიყვანა, რომ ბოლოსდაბოლოს ხმამაღლა ვთქვა ჩემი სათქმელი. შეიძლება არც ახლა არავინ მომაქციოს ყურადღება, ამას უკვე შევეჩვიე, მაგრამ დაგუბებულ ტკივილს გულში ვეღარ ვინახავ.

ოცდაორი წელია პედაგოგი ვარ. ამჟამად ვმუშაობ ცაგერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორად.

მშობლიურ რაიონში არ მისარგებლია არავითარი სიკეთით. მთელი 26 წელია ვცხოვრობ ნახევრადბნელ ნესტიან ბინაში. ამ ხნის მანძილზე არაერთხელ მივმართე რაიონის ხელმძღვანელობას გაეუმჯობესებინა ჩემთვის საყოფაცხოვრებო პირობები, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც იქნა 1990 წლის 27 ნოემბერს რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მომაკუთვნეს ბინა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. მეგონა აწი მაინც მეღირსებოდა ელემენტარულად ადამიანური ცხოვრებით ცხოვრება ჩემს პირველი ჯგუფის ინვალიდ (ბრმა) მოხუც დედასთან ერთად, რომელიც 10 წელია ჩემთან ცხოვრობს. მაგრამ რა გამოვიდა?

აღნიშნული ბინა ეკუთვნოდა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომელს ზურაბ ქლიბაძეს, რომელმაც ბოლნისში მიიღო საცხოვრებელი სახლი. წასვლამდე რამდენიმე თვით ადრე იგი შეუთანხმდა ამავე დაწესებულების თანამშრომელს იაგო ბურჯალიანს და საცხოვრებლად შეიყვანა ბინაში. შემდეგ აღმასკომში გაფორმდა დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ როგორც კი ქლიბაძე წავიდოდა რაიონიდან, ბურჯალიანი დაცლიდა ბინას, ე. ი. ბინა უნდა ჩაბარებოდა სახლმმართველობას. როცა დადგა ბურჯალიანის ბინიდან გამოსვლის ჯერი, მტკიცე უარით გამომისტუმრა, რომ ბინა ეკუთვნოდა მას და არა მე და ეს მაშინ, როცა ბინის აღრიცხვის რიგში ოცდამეთვრამეტეე.

ისევ დამრჩა, რომ მივმართე სახალხო სასამართლოს. გასული წლის 19 დეკემბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბურჯალიანის ბინიდან გამოსახლების შესახებ.

მაგრამ აღმასრულებელმა ფაქტიურად არ აღასრულა გადაწყვეტილება, კვლავ სამართლის ძებნაში გავიდა თვენახევარი.

* * *

ყოველივე ამის თაობაზე წერილი მივიტანე რედაქციაში, ვებრძოდი უსამართლობას. მასალა დასაბეჭდად მზად იყო, რომ მოსამართლემ დამიძახა და მითხრა: უნდა წამოხვიდეთ, ბინას ჩაგაბარებთო. წავედი ავდმყოფი მოხუცი დედით. ვხედავ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები, დაახლოებით 25-30 კაცი დგას ბინასთან. მე, რა თქმა უნდა, თავდაპირველად ვერაფერს მივხვდი. თანდათან დაიძაბა მდგომარეობა. ოჯახის დიასახლისი მტკიცე უარს აცხადებდა ბინიდან გამოსვლაზე, კატეგორიულად ითხოვდა, რომ თუ ასეა, გაეყვანათ ყველა ის მოქალაქე ბინებიდან, რომლებსაც საერთოდ ქალაქში უკანონოდ აქვთ ბინა დაკავებული. იძულებული გახდნენ მილიცია მოეყვანათ. კავშირგაბმულობის მუშაკები ბინასთან იდგნენ და თუ საჭირო გახდებოდა, ალბათ, მილიციას წინაც აღუდგებოდნენ, მაგრამ მილიცია მაყურებლის პოზიცია დაიკავა. მივხვდი, ბინას პიკეტი გაუკეთეს. ამდენი ხალხი ორი უმწეო ქალის წინაშე ასე უსირცხვილოდ იდგა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი თანამშრომელი თეგული სილაგაძე იმუქრებოდა: სულ ნათესავები ხომ არ იქნებიანო შენთან, არ გინდა ამ ბინაში იცხოვროო (?!) ამას ყველაფერს დამშვიდებით უყურებდა ხელმძღვანელი იური ჭაბუკიანი. მან რაიაღმასკომის წარმომადგენელთა თხოვნით საავადმყოფოდან ჩამოიყვანა გინეკოლოგი ძაძუ ჩხეტიანი, რომელსაც გაცემული ჰქონდა ცნობა იაგო ბურჯალიანის მეუღლის რამდენიმე კვირის ორსულობაზე.

ამით „სპექტაკლიც“ დამთავრდა.

ვფიქრობ, ზედმეტია კომენტარი, ჯერ ერთი, რამდენად სწორად მოიქცა აღნიშნული ორგანიზაცია, რომლის მუშაკებმაც გააცდინეს სამუშაო დღე, პირველი ნახევარი და, რაც მთავარია, გვერდში დაუდგნენ თანამშრომელს ძალმომრეობის განხორციელებაში.

* * *

ბინა დამავიწყდა კიდეც. ადამიანებო, რა ხდება, სად არის სამართალი, ამ განუკითხავ წუთისოფელში ისევ იმარჯვებენ ძალები, ვისთვისაც ღმერთს ფიზიკური ძალა მიუცია. ვინ მომცემს მე პასუხს. ბინის ლოდინში გაილია ცხოვრება. მე მხოლოდ ფარატინა ქაღალდები და ცრემლი შემრჩა.

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, „ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ“!

ᲐᲛᲐᲡ წინათ რედაქციაში ახალგაზრდა შაოსანი ქალი გვესტუმრა და გვთხოვა, ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაგვეცა იმ ადამიანებისათვის, ვინც გულთან მიიტანა გასაჭირი და დასახმარებლად გაუწოდა ხელი. ეს ახალგაზრდა ქვრივი მაგული კვირკაშვილი გახლდათ, ორი მშვენიერი და ჭკვიანი, მაგრამ ბოძრაობის უნარდაქვეითებული ბავშვის დედა. ვის არ მიმართა ქალბატონმა მაგულიმ, რომ თავისი ვაჟებისთვის ინვალიდის სავარძლები შეეძინა, მაგრამ ამაოდ, სოციუზრუნველყოფის სამინისტროსა და გაზეთ „სახალხო განათლებისაგან“ ჰასუხსაც ვერ ეღირსა. და როშ არა ერთი ბედნიერი შემთხვევა, ქალბატონი მაგული კიდევ დიდხანს ივლიდა ინსტანციიდან ინსტანციაში.

ორიოდე თვის წინ ცაგერს ესტუმრა სრულიად საქართველოს საქველმოქმედო ასოციაცია „სავანეთის“ წინამძღვარი ფარნავაზ მგელაძე. ეს იყო „სავანეთის“ მეორე საქველმოქმედო აქცია ცაგერში. წინამძღვარი ესტუმრა რაიონის რამდენიმე სკოლას, ლოცვანი, ხატები და საეკლესიო ლიტერატურა აჩუქა მოსწავლეებს, ღარიბ და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს ტანსაცმელი, საავადმყოფოს — მედიკამენტები. ცაგერის საშუალო სკოლაში შეხვედრისას სკოლის დირექტორმა მანანა გორგაძლიძემ სტუმარს სთხოვა, როგორმე დახმარებოდა ამ სკოლის მოსწავლეების დედას, მაგული კვირკაშვილს ინვალიდის სავარძლების შეძენაში. ამ საკარძლებზე დიდი მოთხოვნილებისა და უფრო დიდი დეფიციტის პირობებში ბატონი ფარნა დანამდვილებით ვერაფერს შეპირდა სკოლის ხელმძღვანელობას, აღუთქვა კი, რომ ცდას არ დაკლებდა. და აი, ამ ამბიდან თვეც არ გასულა და „სავანეთას“ წარმომადგენლები კვლავ ხელდამჭენებული ჩამოვიდნენ ცაგერში. ეს სავარძლები გერმანელმა მეგობრებმა აჩუქეს „სავანეთას“.

ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ სიხარული გაოცებამ გადაფარა... უბრალოდ, არ ველოდით. ადამიანებს ისე აქვთ გული გატეხილი ამდენი დაბრიებითა და ბიუროკრატიული ბარიერებით, ძნელი დასაჯერებელია ამგვარი ოპერატიულობა და უანგარობა.

ღმერთმა უშველოს „სავანეთას“ ქველმოქმედებს, ღმერთმა უშველოს ყველას, ვისაც სხვისი ჭირი და უბედურება თავისად მიაჩნია, და სიკეთის ქმნა—ცხოვრების აზრად.

ᲘᲐ ᲮᲛᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲪᲘ

ᲡᲐᲥᲛᲔᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲛᲐ მოიქნია კუდი, თებერვალი იანვარზე ცივი და უხვთოვლიანი გამოდგა. გლეხკაცი, რომელიც გულით, სულით მშრომელია, მიწის მოსიყვარულე და მესაიდუმლე, სირცხვილნამუსიანი ქვეყნისა და სინდისის წინაშე, რამდენს ფიქრობს: დღეს ლაპარაკი ყველამ ისწავლა, აგრარული რეფორმებიც ბევრნაირი გავიარეთ, მაგრამ თავად მიწის მუშას და მწარმოებელს არაფერს ეკითხებოდნენო. დღეს სწორედ მუშა-კაცს, ნაღდ მეურნეს უნდა ჰკითხონ რა ჯობია, რომ მთლად არ დაიცალოს სოფელი, უპატრონოდ, ყვავ-ყორნების საჯიჯგნად არ დარჩეს მამა-პაპათა საძვალეთი.

ახლა ხელთ ახალი საიჯარო დებულება გვაქვს. ტვიფელ მშრომელ კაცს გურამ ლაკვეხელიანს რომ ჰკითხოთ შარშანდელ სამეურნეო წელზე რას იტყვით: პირადად მალალი მოსავალი მივიღე, მთლიანად სახლში წავიღე ყურძენი და სიმინდი და მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ მე რომ რიგითი მშრომელი კაცი მქვია, არ მომწონდა ასე ერთი ხელის მოსმით ყველაფრის უარყოფა, კოლმეურნეობის ლიკვიდაცია. ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ კოლმეურნეობამ ვერ გაამართლა, მაგრამ თუკი სხვა უკეთესი ფორმა არ იყო მოძებნილი, რა გვეჩქარებოდა, დაშლა-წაშლას სულ მოვესწრებოდითო.

ამასობაში ერთმანეთი დაჭამეს სოფლად, თავ-თავისთვის შემოიკავეს და დაიგულეს მიწები.

მაგრამ გურამს, როგორც ერთ-ერთ ნაღდ ქართველს, სწამს, რომ უზენაესი საბჭოს ყოველი ახალი გადაწყვეტილება გამიზნულია ისევ და ისევ საქართველოსა და ხალხის საკეთილდღეოდ, ხვალის სასარგებლოდ. ამიტომ ამ ეტაპზე იჯარა ერთ-ერთ გამოსავალ ფორმად მიაჩნია მხოლოდ იმ პირობით, რომ გათვალისწინებულ იქნეს ჩვენი რაიონის მცირემიწიანობა, რელიეფი, კლიმატი, ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ისეთი ოპტიმალური გზა გამოვნახოთ, მიწაზე მამასისხლად ცოტათი გულმობრუნებული ადამიანები არ დავაფრთხოთ. მხედველობაში აქვს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ურთიერთნატურალური გარიგება და საიჯარო ხელშეკრულებისათვის კანონის ძალის მიცემა, სახელშეკრულებო პირობების უცილობელი შესრულება ორივე მხრიდან.

ახლა გურამ ლაკვეხელიანის ვენახი თოვლქვეშ გარინდულა, გაზაფხულის მოლოდინშია. მალე მზესა და დღეს ძალა მოემატება და მევენახეც გამართავს მუხლს, მისთვის ხომ სიცოცხლეა ვაზის ტირილი, ყვავილობა. გულგამბალ ნაზამთრალ მიწა-ვაზს ხელს შეავლებს და სულს ჩაუდგამს.

შრომა, შრომა თუ არ შევიყვარეთო, ამბობს, სხვა ვერაფერი გამოიყვანს საქართველოს სიღარიბიდან. ახლა რომ ლობიო 12 მანეთი დირს, ყველი—15, ღვინო 1 ლიტრი—2 მანეთი და ა. შ. ფული ბევრიც რომ გქონდეს, სად იყიდი, თუ ოფლი არავინ მოიდინა და არაფერი მოიყვანა. ამიტომ ყველა უნდა გავისარჯოთ, ვისაც საქართველოს გადარჩენა და სიკეთე უნდა. დღევანდელ მთავრობას შესწევს კომპეტენცია და ძალა გაუძღვეს ერს. დავაცადოთ, დანარჩენებმა ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ ნამუსიანად—ეს არის ყველაზე დიდი ეროვნული საქმე.

კარგი ნათქვამია.

Მ. ᲒᲣᲠᲣᲦᲘ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ყოფისა და ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი სფერო, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დიდმნიშვნელოვანი სფერო, აუცილებლობითა და დანიშნულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ეს კარგად გვესმის ალპანის ფარგობრივი გაერთიანების ხელმძღვანელებს. ვაჭრობის თითოეულ მუშაკს და მიუხედავად დიდი სიძნელეებისა ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მშრომელთა კეთილდღეობაში, კმაყოფილი გვყავდეს მომხმარებელი.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ წინა წლებში ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანება ვერ ასრულებდა ვაჭრობის გეგმებს, სისტემაში დიდი იყო გაფლანგვა-დატაცება, დებიტორული დავალიანებები, ზენორმატული ნაშთები, რაც განაპირობებდა ცუდ ფინანსურ მდგომარეობას, მოგების მიღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

1990 წელს დასაწყისიდანვე დავსახეთ ამოცანად მუშაობის არსებითად გაუმჯობესება და შემძლია ვთქვა, რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებებს, შევძელით ვაჭრობის გეგმების თანმიმდევრული შესრულება, რაც განაპირობა შრომის დისციპლინის გაუმჯობესებამ, გამოყოფილი ფონდების ათვისებისათვის ზრუნვამ, ვაჭრობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ, გამოფენათ ვაჭრობასა და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში ბაზრობებზე მონაწილეობამ და სხვა.

გაერთიანების მუშაკთა ენერგიულ მუშაობას ვუმადლით, რომ გასულ წელს შევასრულეთ საქონელბრუნვისა და მოგების გეგმები. საქონელბრუნვის გეგმა გასულ წელს გვქონდა 3,670 ათასი მანეთი, შესრულებამ შეადგინა 3,673 ათასი მანეთი. 103,5 პროცენტით შევასრულეთ მოგების გეგმა. ამაღლდა რენტაბელობის დონე.

რენტაბელობის დონის ამაღლებისათვის დიდი მუშაობა გასწია გაერთიანების საფინანსო-სამეურნეო დარგის ყველა მუშაკმა. მკვეთრად შევამცირეთ არასამეურნეო დანახარჯები, ბუნებრივი დანაკარგები მოვაქციეთ ნორმის ფარგლებში, შევამცირეთ სატრანსპორტო ხარჯები, აგრეთვე თავიდან ავიცილეთ ტარის ზენორმატიული ხარჯები და რაც მთავარია გასულ წელს არ გვქონია მსხვილი გაფლანგვის ფაქტები. რენტაბელობის დონის ამაღლებას ხელი შეუწყო აგრეთვე საპაიო შემონატანის გეგმის შესრულებამაც.

ორგანიზაციას მიუხედავად ყველა მუშაკის დიდი მცდელობისა ჯერ კიდევ აქვს 37,3 ათასი მანეთის დებიტორული დავალიანება, რომელიც გამოწვეულია წინა წლებში მომხდარი გაფლანგვებისა და ნარცვების შედეგად. ბუნებრივია, დებიტორული დავალიანება მძიმე ტვირთად აწევს

გადასახედი

უკანასკნელი შეხვედრა

მიმდინარე წლის იანვარში ავადმყოფობის გართულების გამო ოზურგეთის ცენტრალურ საავადმყოფოში ვიმყოფებოდი. 24 იანვარს მოიყვანეს მძიმე ავადმყოფი, ადრე ამავე საავადმყოფოში გაცნობილი ალექსანდრე ყანთელაძე. დამინახა, გადამეხვია. ცუდად ვარო მითხრა. თქვენს პალატაში ადგილი ხომ არ არისო. არ იყო ადგილი. ის სხვა პალატაში მოათავსეს. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და დროს მეგობრულ საუბარში ვატარებდით.

27 იანვარს, საღამოს, ალექსანდრემ გადმომცა რვეულის ფურცლების ცალ გვერდზე დაწერილი მოგონებანი და მითხრა, ეს ხვალ წაიკითხეო (იცოდა, ჟურნალისტი რომ ვიყავი და ალბათ სურდა პრესაში მათი გამოქვეყნება). იმ ღამესვე წავიკითხე მოგონებები.

ალექსანდრე ვარლამის ძე ყანთელაძე დაბადებულა 1924 წელს ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში. დაუმთავრებია საირმის დაწყებითი სკოლა, შემდეგ კი ალპანის საშუალო სკოლა.

1942 წლის 20 სექტემბერს აუყვანიათ სამხედრო აღრიცხვაზე და კომისარიატში გაურთხილებიათ, რომ მზად ყოფილიყო ფრონტზე გასამგზავრებლად. იმავე წლის 10 ნოემბერს ერთი სოფლის და ერთი სკოლის აღზრდილი 74 ღიმილის ბიჭი ფრონტზე გაიწვიეს. 20 ნოემბერს არმალოვკაში ახალბედა მეომრებს უკვე სამხედრო ფიცი მიაღებინეს. ალექსანდრე ჩარიცხეს უმცროს მეთაურთა სკოლაში, მაგრამ არ დაუმთავრებია, ისე გაგზავნეს თანასოფლელებთან ერთად ფრონტის წინა ხაზზე. იქ ალექსანდრე მოულოდნელად შეხვდა თავის სიძეს სემინარ ალექსანდრეს ძე ყურაშვილს სოფელ ნაკურალეშიდან, რომელიც ნალმმტყორცნელთა ბატარეას მეთაურობდა, და თანასოფლელ გურგენ ალავიძეს. ამაღელვებელი იყო მათი შეხვედრა ომის მძიმე დღეებში. პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღეს 1943 წლის 10 დეკემბერს ქ. მელიტოპოლის მისადგომებთან. ამ ქალაქის განთავისუფლების შემდეგ ნაწილი დნეპროპეტროვსკის მიმართულებით გადაიყვანეს. 15 დეკემბერს გააფთრებული ბრძოლის დროს ს. ყურაშვილი მძიმედ დაიჭრა, იგი სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ამ ქალაქის განთავისუფლებას ბევრი ჭაბუკის სიცოცხლე შეეწირა. ასევე მძიმედ დაიჭრა გურგენ ალავიძე და არმიის რიგებიდან გაათავისუფლეს. შინ დაბრუნების შემდეგ იგი ალექსანდრეს მშობლებს აიმედებდა, თქვენი შვილი ცოცხალია და კარგადაც არისო.

1943 წლის 20 დეკემბერს ა. ყანთელაძე ერთ-ერთი შეტევითი ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა. მოათავსეს დნეპროპეტროვსკის სამხედრო ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ მონაწილეობს ბრძოლაში მოლდავეთისა და რუმინეთის განთავისუფლებისათვის.

1944 წლის 13 ოქტომბერს ა. ყანთელაძე მეორედ დაიჭრა, მოათავსეს რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში არსებულ სამხედრო ჰოსპიტალში.

გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტის წინა ხაზზეა. 1945 წლის ბოლოს ომგადახდილი ჭაბუკი მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ალექსანდრემ მღელვარებით მოინახულა თანასოფლელი და ფრონტელი მეგობრები, მათი ოჯახები, შინდაბრუნებული და ცოცხალი მხოლოდ ოთხი აღმოჩნდა. თანასოფლელი 70 ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე მრისხანე ომმა შეიწირა. ომგადახდილმა ჭაბუკმა ალექსანდრე ყანთელაძემ ვერ აიტანა შვილდაკარგული დედების ცრემლიანი თვალების ხილვა. დატოვა მშობლიური სოფელი და საცხოვრებლად ოზურგეთში დამკვიდრდა. შექმნა ოჯახი, მუშაობდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში. მიღებული ქონდა ჯილდოები.

* * *

როცა ალექსანდრეს ჩანაწერებიდან გავიგე, რომ ის ცაგერის რაიონის სოფელ საირმიდან იყო მომაგონდა, რომ ჩემი ახლო მეგობარი გურამ შალვას ძე ალავიძეც სოფელ საირმიდან არის. ამ დამთხვევამ მაფიქრებინა, ვნახავ ალექსანდრეს ამ ღამესვე და ვკითხავ გურამ ალავიძის შესახებ. მაგრამ არ შევაწუხე და ეს ჩანაფიქრი მეორე დღისათვის გადავდე. დავაგვიანე. ალექსანდრე დილის 3 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა.

ასე დამთავრდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა.

შოთა ზაქარიაძე.

ომისა და შრომის ვეტერანი, ოზურგეთის რაიონი სოფ. ბაილეთი.

სპეციალისტის პასუხი

ეკოლოგიური უსაფრთხოებისა თვის

კაცობრიობამ შეაბიჯა ბუნების აქტიური გარდაქმნის ეპოქაში, მაგრამ გრანდიოზულ გამარჯვებებს გვერდში ამოუდგა გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელიც მნიშვნელოვანწილად ეკუთვნის სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ქიმიას.

დღეისათვის მსოფლიოს გზაჯვარედინებზე სუფთა ჰაერით მოვაჭრე ავტომატების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ გარემოს თვითგანახლება არა თუ მოშლილია, არამედ კატასტროფულიც კი არის.

ბრძოლის ქიმიური მეთოდის მასობრივმა გამოყენებამ დააბინძურა წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ბოლო წლებში შხამქიმიკატების გამოყენებამ ჩვენს რესპუბლიკაში სტიქიური ხასიათი მიიღო. მათი არანორმალური ხარჯვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რამაც გამოიწვია სასარგებლო მწერების განადგურება და მავნე სახეობების მასობრივი გამრავლება. წარმოიშვა რეზისენტული ანუ გამძლე მავნებლების პოპულაციები, რისთვისაც საჭირო გახდა პესტიციდების კონცენტრაციების და ჯერადობის გაზრდა, რითაც გაიზარდა გარემოსა და საკვებ პროდუქციებში—სიცოცხლისათვის საშიში ნარჩენები.

მეცნიერთა ღრმა გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე პესტიციდები მოქმედებენ სხვადასხვანაირად: მაღალტოქსიკური ნაერთები იწვევს მწვავე და ქრონიკულ მოწამვლებს, ქმნის ალერგიული დაავადებების საფუძველს, უარყოფით გავლენას ახდენს გამრავლებაზე. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ერთ ვესტიციდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივ ბიოლოგიურ ციკლში.

დღევანდელ გამწვავებულ ეკოლოგიურ სიტუაციაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებელ-დაავადებათა ბრძოლის ისეთი მეთოდების შერჩევას, რომელიც ნაკლებად დააბინძურებს გარემოს.

ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის სსრ კავშირში აკრძალულია ადამიანისა და გარემოსათვის საშიში პესტიციდების გამოყენება. გაძლიერდა სამედიცინო კონტროლი სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების ნაშთის შემცველობაზე. შემოღებულია მცენარეთა დამუშავების ვადების და ნორმების მკაცრი რეგლამენტაცია. ძირფესვიანად შეიცვალა მავნე მწერებთან ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. ქიმიური დაცვის საშუალებების სისტემური გამოყენების ნაცვლად რეკომენდებულია მოსპობითი ღონისძიებების გატარება ზუსტად განსაზღვრულ პირობებში იმ შემთხვევაში, როცა მავნებლის რიცხობრივობა აჭარბებს მავნეობის ეკონომიკურ ზღვარს, ე. ი. მავნებლის რიცხობრივობა რეალურ საფრთხეს ქმნის.

ბუნების დაცვის დღევანდელმა მდგომარეობამ ე. წ. ეკოლოგიურმა კრიზისმა განაპირობა ბრძოლა ახალი მეთოდებით (ე. წ. გენეტიკური ფერომონებით და მიკრობიოლოგიური პრეპარატებით).

ამ მიმართებით საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების მიერ გამოცდილი და რეკომენდებულია ნაკლებად ტოქსიკური და მთლიანად უვნებელი ადამიანისათვის—ბიოლოგიური საშუალებანი:

მიკრობიოლოგიური პრეპარატები—ლეპიდოციდი, ბიტოქსიბაცილინი, დენდრობაცილინი, მღრღნელი მავნებლების—კვირტის

დასასრული მე-4 გვერდზე.

აზერბაიჯანის სსრ. არც ისე დიდი ხანია ბაქოს ავეჯი სარჩევად იყო. დღეს ბაქოელები სად არ ეძებენ მას. ბაქოს საავეჯო ფაბრიკის „წითელი ოქტომბერი“ სადემონსტრაციო სალონში ავეჯის კომპლექტები დგას. საამქროებში ჩატარდა რეკონსტრუქცია, შეიარაღეს იმპორტული მოწყობილობებით და ავტომატური ხაზებით. ფაბრიკა მუშაობს, გეგმები სრულდება. გამოშვებული პროდუქციის ნაწილი (5 პროცენტი) სსრკ მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილებით საწარმოში რჩება.

„წითელი ოქტომბრის“ სპეციალისტებმა მყიდველებს სიურპრიზი მოუმზადეს. გამოშვებისთვის მზადაა 27 დასახელების ახალი ნაწარმი.

სურათზე: უჩვენებენ ავეჯის ახალ კომპლექტს „ხაზარი“.

ფ. ხაირულინის ფოტო.

საკდესის ფოტოქრონიკა.

არ გვაკვიწყებს

ჩვენს გაერთიანებას. დავალიანების მქონე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა გასამართლებელია, მაგრამ თანხების ამოღების საქმეში ჯერ-ჯერობით დიდი ძვრები არ არის. ამ საჭირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ გაერთიანების ხელმძღვანელებმა, რაიკოოპერატივის გამგეობამ, იურისკონსულმა.

გაერთიანების მუშაკებმა საკმაო მუშაობა გასწიეს ზენორმატული ნაშთების ლიკვიდაციისათვის.

ეკონომიის დიდ რეზერვად მიმაჩნია სავაჭრო ობიექტებში საქონლის სწორი შემოზიდვა. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება დეეზად დავიდოთ დიდი ობიექტების მომარაგება სქემით: საწარმო—ბაზა—მაღაზია, ხოლო მცირე ობიექტები დასაქონლდეს საწყობებიდან.

გაერთიანების ხელმძღვანელობა და მომხმარებელი მაღლიერი არიან ორბელის სამრეწველო და სასურსათო, ღვინის სასურსათო, ალპანის სამრეწველო, ტვიშის სამეურნეო, ზოგიშის შერეული მაღაზიების მუშაკების (ლ. ბურჯალიანი, ა. ჭოხონელიძე, ა. ნემსწვერიძე, მ. ალავიძე, ა. ყვირილიანი, ა. ნემსწვერიძე, ბ. ასათიანი), რომლებმაც ასეთი სასაქონლო დეფიციტის პირობებში გადაჭარბებით შეასრულეს ვაჭრობის გეგმები. ამას იმით მიაღწიეს, რომ კვირაში ორჯერ უწევთ წასვლა სხვადასხვა ქალაქებში საქონლის საძებნად და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

როგორც აღვნიშნე გასულ წელს გვაქვს გარკვეული წარმატებები. მიღწევები, რომ უკეთესი იქნეს, საჭიროა ჩვენმა გაერთიანებამ მიიღოს მეტი დამოუკიდებლად მოქმედების, აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების შანსი. გაერთიანებამ რაიკოოპერატივისაგან უნდა მიიღოს ყველა სასაქონლო ფონდის 42 პროცენტი მომწოდებლიდან თავისივე მინდობილობით, ასევე მიღწეულ უნდა იქნეს მომწოდებლებთან, რომ ფქვილების 42 პროცენტი ამოიწეროს არა რაიკოოპერატივის ცენტრალურ საწყობზე, არამედ გაერთიანების საწყობზე, რაც გააადვილებს კონტროლს შემოსული ფქვილების სწორ განაწილებაზე, აღნიშნული უნდა მოგვიგვაროს რაიკოოპერატივის გამგეობამ.

მოვითხოვთ, რომ საქონელი, რომელიც განსაკუთრებით დეფიციტია და ექვემდებარება განაწილებას, ასეთი საქონლის 42 პროცენტი რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა გაანაწილოს და გაგზავნოს იმ მცხოვრებლებზე, რომლებსაც ზონალურად ემსახურება ალპანის დარგობრივი გაერთიანება, ეს დადებითად იმოქმედებს გეგმის შესრულებაზე და მომსახურება გაუწევა ჩვენი ზონის მცხოვრებლებს. ეს აუცილებლად უნდა მოგვარდეს, რადგან ჩვენ აღარ მივიღოთ მომხმარებლისაგან საყვედურები.

ჩემს მიერ დაყენებული საკითხების მოგვარება გააჯანსაღებს არა მარტო ჩვენი გაერთიანების ფინანსურ მდგომარეობას, არამედ რაიკოოპერატივისასაც.

გასული წელი მოგებით დავამთავრეთ, წელს სერიოზული ბიძგელეების წინაშე ვდგევართ. საქონელი დეფიციტია, უკვე იგრძნობა საბაზრო ეკონომიკის მოქმედება როგორც საქონლის ფასებზე, ისე მის შოვნასა და მოსახლეობასთან მიტანაზე. აქედან ჩვენ უნდა გარდავქმნათ მუშაობა შესაბამისი ცხოვრებისეული სიტუაციის მიხედვით. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაკთა კომერციულ განათლებას, მივიღოთ მონაწილეობა გაცვლით ოპერაციებში, გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ რაც შეიძლება დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნილებები.

გ. სალინაძე,

ალპანის დარგობრივი გაერთიანების დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის

(დასასრული).

ჭიის, ყურძნის ჭიის, ვაშლის ნაყოფჭამიას, ოქროკუდას წინააღმდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრეპარატები არასაკმარისი რაოდენობით შემოდის რაიონში.

ასევე სრულიად უვნებელი მცენარეული წარმოშობის პრეპარატები პირეტროიდუმი (ეფექტურია ბუგრების წინააღმდეგ) საერთოდ არ გამოჩენილა.

ბრძოლის ბიოტექნიკური საშუალებები—ფერომონიანი სქესმჭერები (ვაშლის ნაყოფჭამიის და ყურძნის ჭიის მიმართ).

ფერომონებს ამზადებს ესტონეთი, მოლდავეთი, ბაშკირეთი, სომხეთი, ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ფერომონების მძლავრი საწარმოს მშენებლობა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას და მაშინ მაინც გაეხსნება მწვანე გზა დასავლეთ საქართველოსაკენ.

მცენარეთა დაცვის ახალ კონცეფციაში დიდი ადგილი ეთმობა მავნე მწერების მიმართ ინტეგრირებული სისტემის გამოყენებას—რომელიც გულისხმობს ეკოსისტემაში სასარგებლო და მავნე ორგანიზმების ურთიერთრეგულირებას და აგროეკოსისტემის მართვას წინასწარ შედგენილი მოდელების მიხედვით.

დღეს, როცა ეკონომიკა გადადის ინტენსიფიკაციის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების რელსებზე—მცენარეთა დაცვის განყოფილებამ წარმოებას გადასცა ვაზის და ხეხილის მავნებელ-დაავადებებთან ინტეგრირებული ბრძოლის სისტემა, რომელიც იძლევა ყოველი დახარჯული მანეთიდან 20 მანეთის უკუგებას.

დადებითი შედეგებია მიღებული ვაზის და ხეხილის მავნებლების წინააღმდეგ სასარგებლო მწერების: აფელინუსის, კრიპტოლემუსის, მეტახელიუსის, ტრიხოგრამის გამოყენებით.

საჭიროა კიდევ მეტად გაიზარდოს კონტაქტები მეცნიერებასა და წარმოებას შორის, რათა წარმოებაში სწრაფად დაინერგოს თანამედროვე ეკოსისტემებისათვის უვნებელი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები ბიოლოგიური მეთოდების თანდათანობით გადიდებით.

ნანული შალამბერიძე,

ხაქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე.
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ყველაზე ძვირი ქალაქი

ტოკიოს პირველი ადგილი უკავია იმ ქალაქების სიაში, რომლებიც გამოირჩევიან ყოველდღიური მოთხოვნილების საგნებისა და საკვები პროდუქტების ფასების ყველაზე მაღალი დონით. 150 ყველაზე უფრო გასავლიან საქონელში ტოკიოელი უფრო მაღალ ფასს იხდის, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქალაქის მცხოვრები. ყველაზე უფრო ძვირი ქალაქების სიაში მეორე ადგილი უკავია ოსაკას.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ია სულიკოს ასულ ჭაავას ზურაბ დომენტის ძე აბაშიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი, შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი, გფარავდეთ ღმერთი.

მერი, ჭიჭიკო აბაშიძეები, დარეჯან, გრიშა ხმელიძეები, ნესტან, რამაზ ახვლედიანები, თინიკო, ილო ბერიძეები.

იზოლდა მანდარიას თამაზ გერუაშვილს

ნათლია გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ოჯახის სიმტკიცეს, შვილთა სიმრავლეს, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ეკა სალინაძე.

გილოცავთ

გია ისმაილის ძე მიქაუტაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ წარმატებებს, წინსვლას პირად და საზოგადოებრივ საქმეში.

მურადი, დოდო კენჭაძეები, ოლეგი, დარეჯან ნემსწვერიძეები, ხათუნა, ალეკო ასათიანები, ლელა, ნინო, მაკა ნემსწვერიძეები, ზაზა ჩაკვეტაძე, ნოვიკო მიქაუტაძე.

ნაზიკო, გიზო ახვლედიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ჯანიკო ლეთოდიანი, ჯუმბერ ბენდელიანი, კოლია ფუტკარაძე, ჯონი ხმელიძე, გიზო კალანდაძე, როლანდ, ივანე სილაგაძეები, ელიშუქ, გივი ახვლედიანები, ნორა ბურჯალიანი, დალოსტი სვანიძე, ჯუმბერ სალინაძე.

სოფო გოგიძეს ბადრი ჭოხონელიძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

შალვა დომენტის ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ დაბადებიდან 75-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას.

დარეჯან, ილარიონ გელოვანები.

შალვა დომენტის ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ 75 წლის შესრულებას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ცაგერის რაიკოოპერატივის ბუღალტერიის თანამშრომლები.

ბელა შოთას ასულ შკუბულიანს კარლო კაენის ძე კოპალიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. სიხარული ავსებდეს თქვენს ფუძე-კერს. მოსწრებოდეთ მრავალ შვილიშვილს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზაურ კოპალიანი ოჯახით.

ნათელა, ზაურ სალინაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, აღზრდილიყოს ერის სასახელო ქალი, ღმერთი იყოს თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მფარველი

ფოთოლა გურასაშვილი, ირა სალინაძე, ლუიზა ჩხეტიანი, მარინე გოგიძე, ნათელა კოპალიანი, ციცო ბრეგვაძე, მზია ხეცურიანი.

იზო, ბახვა კოპალიანებს ნაზიკო, აქვსენტი გოლეთიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს. კიდევ მრავალი სიხარული გენახოთ.

ჟორა, თამაზ სილაგაძეები ოჯახებით.

ინგა გუჯუს ასულ მუშკუდიანს ეკა მურთაზის ასულ ახვლედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და წინსვლას ცხოვრებაში.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლეები.

შვილები დინოლი, დემური, ომარი, დები საშა, ქენია, ძმისშვილები შუქრი, ვინელი, რძლები ნაირა მანაგაძე, ინეზა შენგელაია, ქეთინო ჰედია, სიძეები რეზო ქველიძე, გურამ კიკვაძე, შვილიშვილები ონისე, ლაშა, აჩიკო, ლევანი, ლელა, კოტიკო, შალვა, მარინე, რუბენი, სოსო, დათო, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ონისიმეს ძე ხუციძე

დაკრძალვა 23 თებერვალს, შაბათს, სოფ. საირმეში.

რუბენ კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სარა აქვსენტის ასული კოპალიანი

შოთა, კარლო ცვარიანები, გრიგოლ, ვალერი ბენდელიანები თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს

თენგიზ ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ვენერა გოლეთიანი, დათო ხეცურიანი, რაინდი ჭაბუკიანი, დათო გუგავა თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის

თენგიზ ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

დედა ელენე, მეუღლე მარინე ჩხიკვიშვილი, შვილები ავთანდილი, დავითი, ძმა ჯიმშერი, დები ლედი, მერი, ნაზი, მთვარისა, სიძეები არჩილ, ჯიბილო ნემსწვერიძეები, ბორის გოლეთიანი, რძალი მთვარისა კვირკაშვილი, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ (ანგელი) არტემის ძე ბურჯალიანი.

დაკრძალვა 23 თებერვალს, შაბათს, სოფ. ორბელში.

უჩა, აქვსენტი, ალექსანდრე გოლეთიანები თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებ ძმისა და ცოლისძმის

თენგიზ ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ არსენ ლეშკაშელს დედის

ნადია ლეშკაშელის

გარდაცვალების გამო.

შვილი თამარი, სიძე შალვა ჩაჩხიანი, შვილიშვილები მაია თენგიზი, რძალი მანანა, სიძე მურმანი, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასასი ალექსის ასული ისიანი-ხვადაგიანი.

დაკრძალვა 23 თებერვალს, შაბათს, სოფ. ზოგიში.

შვილები ვალტერი, ვიოლეტა ციცო, დები ფაფალა, ჟუჟუნა, ძმა ვალიკო, რძლები თამრიკო ყალაბეგაშვილი, ლენა, ცირა მურცხვალაძეები, სიძეები თემურ ჩორგოლიანი, კოტე ბობოხიძე, რუბენ კვირკაშვილი, შვილიშვილები სოფო, სოსო, მარინე, ირინე, აკაკი, მამიდები, ბიძები, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, მძახლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე.

დაკრძალვა 23 თებერვალს, შაბათს, ქ. ცაგერში.

ბიქტორ, დავით, სოზარ, ალექსანდრე ცვარიანები, მურთაზ, სოსო ბერიძეები თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს

თენგიზ ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

შვილი გელა, რძლები ლერი, გუგულა, გალინე, დალი, შვილიშვილები გია, ლელა, ლალი, შვილთაშვილები ალეკო, თამრიკო, და ბაცა, სიძეები ჯემალ ცვარიანი, მირზა ხეცურიანი, მულიშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა დავითის ასული ყურაშვილი-ახვლედიანი.

დაკრძალვა 23 თებერვალს, შაბათს, სოფ. ლაცორიაში.

სარაიონო კულტურის სახლისა და ცენტრალური ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ გოგიძეს ცოლისძმის

შოთა რეხვიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ, გურამ, სერგო ჩაჩხიანები, გურგენ ბურჯალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თამარ, შალვა ჩაჩხიანებს დედისა და სიდედრის

ვასასი ისიანი-ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო.

ზაურ, გივი ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ეთერ, მერი, ლილი, ვენერა ჩარკვიანებს დედის

პაშა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

რაიცენტრის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კატუშა ცვარიანს ძმის

ლევან კარკაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible] სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-48. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. შეკვეთა №14 ტირაჟი 4633

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.